

Shorena Bolkvadze

შორენა ბოლქვაძე

Batumi Shota Rustaveli State University

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Batumi

საქართველო, ბათუმი

The Artistic – Publicistic Discourse of Georgian Emigrant Memoirs  
ქართული ემიგრანტული მემუარისტის მხატვრულ-პუბლიცისტური  
დისკურსი

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10835>

The study of emigrant literature requires expanding the spectrum of research directions. Within artistic-documentary discourse, our research focuses on memoir prose through genre, artistry, and memory studies. We analyze two significant works: Revaz Gabashvili's „*What do I Remember*” and Valodia Gogua-dze's „*Memoirs*”. The Georgian emigration wave after 1921 produced compelling memoir literature, which became the sole material for filling "white spots" in history falsified by Soviet ideology. Documentary and journalistic discourse transforms this memoir prose into a multi-faceted, valuable resource for interdisciplinary research, offering a vital counter-narrative to political distortions while preserving the authentic national memory of Georgia.

**Key words:** Memoir, Interdisciplinary Research, Memory, Identity

**საკვანძო სიტყვები:** მემუარები, ინტერდისციპლინარული კვლევა, მეხსიერება, იდენტობა

ქართული ემიგრანტული ლიტერატურის შესწავლა, მიუხედავად ინტენსიური მუშაობისა, კვლევის მიმართულებათა სპექტრის გაზრდას მოითხოვს. იგი ჟანრობრივად, თემატურად, სტილის თვალსაზრისით თუ ბიბლიოგრაფიული ღირებულებით ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კორპუსია. მართალია, ქართული სამეცნიერო და კრიტიკული სკოლებისაგან სათანადოდ დაფასებულია პოლიტიკური ემიგრაციის პირველი ტალღის, მხედველობაში გვაქვს მოსკოვში ვახტანგ მე-6 დასის, ღვაწლი, ვთვლით, რომ ასევე დიდი ყურადღების ღირსია, პოლიტიკური ემიგრაციის მეორე ტალღის, გასაბჭოების შემდეგ ევროპაში ემიგრირებულთა, წერილობითი მემკვიდრეობა.

პუბლიცისტის, მხატვრულ-დოკუმენტური დისკურსის ფარგლებში ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს მემუარული პროზა, ჟანრობრივი, მხატვრული თუ მეხსიერების კვლევის მიმართულებით.

საინტერესოა, რა ფაქტორებს გამოკვეთს მეხსიერების კვლავწარმოებით აგებული ტექსტები და მათში გამოხატული ემიგრანტული ტრავმული მეხსიერება.

საანალიზოდ ვირჩევთ ემიგრანტული ლიტერატურის ორ მემუარულ ნაწარმოებს: რევაზ გაბაშვილის „*რაც მახსოვს*“ და ვალოდია გოგუაძის „*მოგონებანი*“.

რევაზ გაბაშვილი გახლავთ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, ბელგიაში განათლებამიღებული, საქართველოში სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი და შემდგომში პარიზში ემიგრირებული.

ვალოდია გოგუაძე კი ის გმირია, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის დროს შემოჭრილ ოსმალთა რაზმებს ებრძოდა და შემდგომში ისიც პარიზულ ემიგრაციას შეუერთდა.

ვალოდია გოგუაძის ტექსტი არ მოგვიტოვებს ბავშვობასა და ჭაბუკობის წლებზე, მოღვაწეობის რევოლუციამდელ პერიოდზე. ავტორი გამოირჩევა გულწრფელობითა და სიმართლის დამა-

ჯერებლად წარმოდგენის უნარით. „მოგონებანი“ მოიცავს 1890-1919 წლების პერიოდს. ემიგრაციაში ყოფნის პერიოდის, გასაბჭოებისა და 1954 წლამდე, გარდაცვალებამდე, შესახებ ტექსტი არ მოიცავს. როგორც მკვლევარი აკადემიკოსი გურამ შარაძე (1992, გვ. 452.) გვაცნობს, ხელნაწერის სრული ვერსია ავტორს პარიზში ფაშისტური გერმანიის შეჭრის დროს თვითონვე გაუნადგურებია, ხოლო შემდეგ ფრაგმენტულად აღმოჩენილი ფურცლების აკინძვით მის მეუღლეს შეუკრავს ის ვერსია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

„კოლექტიური მეხსიერების“ თეორიის მიხედვით, ადამიანები მოვლენებს აღიქვამენ, იაზრებენ და იმახსოვრებენ სოციალური წრის ინტერესებისა და საზოგადოების მიერ ამა თუ იმ თემის აქცენტებიდან გამომდინარე. ქართული მემუარული პროზა, კონკრეტულად მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპაში ემიგრირებულთა მემუარული მემკვიდრეობა, სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა. ავტორებს აერთიანებთ ისტორიული მოვლენებით განპირობებული მსგავსი თავგასავალი და ამ რეალობით ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი. ამდენად, ხშირ შემთხვევაში, საანალიზო ტექსტში ერთი და იგივე ამბავი, შემთხვევა თუ ინციდენტი აღწერილი, იდენტურია ლიტერატურულ პორტრეტთა გალერეაც, რაც ხშირად ამ ჟანრის ტექსტების კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია. საზოგადო მოღვაწეთა ლიტერატურული პორტრეტები პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვის მიუხედავად, ისტორიულ პირთა წარმოდგენას გვიადვილებს.

საერთო მეხსიერება, რომელიც შემდგომში ისტორიულ, კოლექტიურ მეხსიერებად ფორმირდება, საზოგადოებას აერთიანებს, ხოლო პოლიტიკური თავშესაფრის ძიების პირობებში ჩამოყალიბებული დიასპორის წევრები, რომლებიც გადარჩენისთვის, ადაპტაციისთვისა და დამკვიდრებისთვის იბრძვიან, ადვილად ემორჩილებიან სოლიდარობის უპირატეს ფაქტორად აღიარების აუცილებლობას. მიუხედავად ამ, ასე ვთქვათ, კოლექტიური წნეხისა, მემუარების წერა დიდწილად კამერული, ინტიმური და აღსარების იმპულსზე დამყარებული შემოქმედებითი პროცესია, რითაც მთხრობელს უადვილდება შექმნას უნიკალური საავტორო ხელწერა. ამ ორი ფაქტორის გარდამავალი უპირატესობით შემოქმედების პირობებში ის იძენს ადამიანის, ინდივიდუალური „მსოფლიოს ხატისა“ და სოციუმის ხედვით „ეპოქის სურათის“ არეკვლის დამაჯერებლობის ძალას. „კულტურა აყალიბებს გარკვეული ტიპის აზროვნებას, ცხოვრების წესს, რომელსაც ინდივიდი სოციალიზაციის დროს ითვისებს“ (კალჭუნი, 2008, გვ. 26).

გარდამავალი ეპოქები: რევოლუციები, მასშტაბური სოციალური თუ ეკოლოგიური კატაკლიზმები შეუმჩნეველს ტოვებს უმცირესობებს, მარგინალებს, ინდივიდუალებსა და არაორდინალურად მოაზროვნე ან, რაღაც ნიშნით, პროცენტულად მცირე ადამიანთა ჯგუფებსაც. მემუარისტიკა კი თანამედროვე პირობებში, როცა ეს ჟანრი მასობრივი კულტურის პირობებში ყველაზე მოდურ ტენდენციად იქცა, აღმოჩნდა ის ველი, ის სივრცე, სადაც გადარჩა ინდივიდი, შეიძლება შემოქმედებითი უნარის მხრივ ვერ გამოჩეული, მაგრამ ხედვის უნიკალურობით, საკუთარი თავის აღნიშვნისა და დაფიქსირების ამბიციის ჟინით ცხოველმყოფელი ადამიანი.

როგორც ვხედავთ, მე-20 საუკუნის კატაკლიზმებს საქართველოს ისტორიაც იზიარებს და მისი სვე-ბედიც ნაწილია მცირე ერთების თვითგამორკვევის პროცესის (რა ნიშნითაც მეცხრამეტე საუკუნის ევროპის ისტორია გაფორმდა) საბედისწერო შემობრუნებისა, ჩენს შემთხვევაში, გასაბჭოებისა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მორიგი ტალღა 1921 წლის მოვლენების შემდეგ ძალიან საინტერესო და მოცულობით მემუარულ ლიტერატურას ქმნის, რაც შემდგომში საბჭოთა იდეოლოგიის კარნახით გაყალბებული ისტორიის „თეთრი ლაქების“ ამოსავსებად ერთადერთი მასალა აღმოჩნდა. მათი გაცნობა ეპოქის აღსაქმელად საერთო სურათს ფერებს მატებს და სიმკვეთრეს სძენს. ამ ტექსტების ალტერნატივად (ისტორიული რეალობის ასახვის კონტექსტში) გვაქვს საბჭოთა ეპოქაში პარტიული დაკვეთით შექმნილი ლიტერატურა. როგორც პროფესორი ირმა რატინი წერს: ქართულ ენაზე შექმნილი ლიტერატურის (ჩვენი შენიშვნით) –

„ბოლშევიკურ სახელისუფლებო იდეოლოგიის უშუალო ლიტერატურულ რეფლექსი-  
ად საბჭოთა დისკურსი იქცა, ხელისუფლების მიერ საგანგებოდ ორგანიზებული სისტემა,  
რომელიც იმთავითვე რამდენიმე შენაკადად განიტოტა: პროლეტარული მწერლობა, სოცრე-  
ალისტური მწერლობა, საბჭოთა პუბლიცისტიკა. საბჭოთა დისკურსი იყო, ერთი მხრივ, „ახა-  
ლი დემოკრატიისა“ და მემარცხენე ინტელიგენციის დისკურსი, სადაც სიტყვა-ფიქვია დო-  
მინირებდა სიტყვა-საგანზე, მეორე მხრივ, კი „ზედაპირული დისკურსი“, რომელსაც არ გააჩ-  
ნდა სიღრმე და ნაციონალური ინდივიდუალობის განცდა..“ (რატიანი, 2013-14, გვ. 156) .

ამრიგად, ქართული ემიგრანტული მემუარისტიკა ასახავს იმავე ეპოქას, მაგრამ დაზღვე-  
ულია ზედაპირულობისაგან და არ არის შეზღუდული ნაციონალური იდენტობის გამოხატვამი,  
პირიქით, სწორედ იდენტობის განცდა არის მისი ლაიტმოტივი და იდეა. შესაბამისად, დაცულია  
ზედაპირულობისა და ტრაფარეტულობისაგან.

„არ ვიცი, იმიტომ რომ ლიბერალურ-განათლებული ოჯახში აღვიზარდე, უკიდუ-  
რესად მართალი დედა ჩემის მთავარი, და, პატოსანი მამის, ასე ვსთქვათ მეორეხარისხო-  
ვანი გავლენით, იმიტომ რომ ერთადერთი ეროვნულ პატრიოტული სკოლა გავიარე, – ნე-  
ტარ-მოსაგონებელი ქართველი მასწავლებლებით და ძვირფასი ამხანაგებით, ჩემი ინდივი-  
დუალური, პირადი თვისებათა და სულიერ განწყობილების მიხედვით შემუშავებული  
მსოფლმხედველობით... მე არასოდეს არ მაინტერესებდა რეჟიმის საკითხი, არამედ მხო-  
ლოდ „ეროვნული და თავისუფალი ერის ფარგლებში უკიდურეს სამართლიანობაზე აგე-  
ბული წესწყობილება“ (გაბაშვილი, 1992, გვ. 86-87).

მემუარული ტექსტი „რაც მახსოვს“ ისტორიული მოვლენების ჩვენთვის დამალულ და ოფი-  
ციალური ისტორიოგრაფიით მიჩქმალულ უამრავ ნიუანსს ყვება. უმძიმეს დრამატულ, პროზაულ  
ეპიზოდებშიც თხრობას ამსუბუქებს რომანული ნარატივები, ლირიკული გადახვევები, ლიტერა-  
ტურული პორტრეტები. მწვავე პოლიტიკური პროცესების აღწერისას სიცოცხლის მშვენიერ გამოვ-  
ლინებებზე აქცენტირებით ავტორს მხატვრული პროზის ელემენტები შეაქვს და კითხვის პროცესს  
სასიამოვნოს ხდის.

აქვე დავსძენთ, რომ მხატვრული პროზისაგან განსხვავებით დოკუმენტურ პროზაში იშვი-  
ათია ბალანსი, პროპორცია თუ კომპოზიციური აგების მდგენელი. მხატვრულ-დოკუმენტური  
პროზა მკითხველის ემოციებზე მანიპულირებით როდია გართული, არამედ მიყვება ერთი ადა-  
მიანის სუბიექტურ ტემპსა და რიტმს, რითაც მის ტემპერამენტსა და ექსპრესიულობას შეგვაგრ-  
ძნებინებს. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამ გარემოებას მემუარისტიკის მხატვრულ თავისებუ-  
რებად განვიხილავთ, თუმცა ეს ცალკე კვლევის საგანია.

ზურაბ გაბაშვილის „რაც მახსოვს“ ტექსტი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ საინტერესო  
ტენდენციას საკუთრივ ნარატივისა ( ამბის ისტორიული დრო) და მთხრობლის (ნარატორის მიერ  
წერის მომენტში) ენის სხვაობა. თუკი მხატვრული ტექსტის შექმნისას, მხედველობაში გვაქვს ის-  
ტორიული რომანი ან მოთხრობა, ავტორი მიმართავს სტილიზაციას, არქაიზმების გამოყენებას  
ეპოქის სულის აღსადგენად და კოლორიტის შესაქმნელად, მემუარისტი არ ხარჯავს მსგავს ძალის-  
ხმევას და შესაბამისად მკითხველი გრძნობს აცდენას. თხრობის ისტორიული დრო განგვაწყობს  
რევოლუციის ამბები უნდა მოვისმინოთ იმ ეპოქის ენით, რაც ტელევიზიამ, ისტორიის სახელმ-  
ძღვანელობებმა, თუ სოცრეალიზმის ლიტერატურამ გაგვიმყარა, თუმცა ტექსტი, რომელიც დროის  
დისტანციით იწერება და სწაფად განვითარებადი ევროპის ნაწილად ქცეული, რაც, ცხადია, ენობ-  
რივ სტატუსსაც ცვლიდა. ტექსტი, რომელიც დროის დისტანციით იწერება, ამასთან სხვა, ამ ენის  
მიღმა, სოციალურ-ოლიტიკური სისტემის სოციუმის ანუ ემიგრანტი ქმნის, ცხადია, განიცდის იმ  
ენის თუ რეალობის სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების, ამბის ისტორიულ დროსა და თანამედრო-  
ვეობის განცდას შორის. ამას თვით ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს: „ერთი თვალის დახამხამება-  
ზედ ჩაქრა ღუმელი, „სარდლობა“ – სპონტანურად – (მაშინ ეს სიტყვა ხმარებაში არ იყო) – ჩემზედ  
გადმოვიდა...“ (გაბაშვილი, 1992, გვ. 47).

ამ შემთხვევაში ვიმოწმებთ ამონარიდს იმ მიზნით, რომ ვაჩვენოთ, ეს ერთგვარი ანაქრონიზმი ავტორსაც უგრძნია და განუმარტავს მკითხველისთვის, რითაც ერთგვარად შეახსენა მას, რომ ის მემუარულ ტექსტს კითხულობს, რომელიც მეხსიერების კლავწარმოების პროცესს ეყრდნობა. სოცლინგვისტიკის ტერმინით ემიგრანტული მწერლობა ხშირად მიმართავს „ლინგვისტური კოდების“ მონაცვლეობას.

ქართული ემიგრანტული მემუარისტიკის ერთ-ერთ მახასიათებლად მეხსიერების პოლიტიკის გათვალისწინებით გამოსაყოფია მოვლენათა შეფასების წინააღმდეგობრივი ბუნება. ერთი და იგივე ფაქტის შეფასება ერთ ნაწარმოებში სხვადასხვა დროითი დისტანციიდან. მთხრობელი ფაქტს, როგორც თვითმხილველი იგონებს, გადმოსცემს იმ მომენტის ემოციას და აფასებს „დღიურის პერსპექტივით“, ხოლო შემდგომ იმავე ფაქტს წერის მომენტში ხელმეორედ აფასებს თანამედროვე ხედვის პერსპექტივიდან. არ არის გამორიცხული, რომ მემუარი მეორეული, გადამუშავებული ტექსტია და ის მასალად სწორედ ავტორისავე დღიურს იყენებს. მოგონებებისა და უშუალო განცდის ჩვენება გმირის, პერსონაჟის იგივე ავტორის ზრდის, ტრანსფორმაციის მაჩვენებელიცაა და მკითხველი თავგადასავალთან ერთად მისი სულიერი განვითარების გზასაც აფიქსირებს. მტკიცების თვალსაჩინოებისთვის მოვიტანთ საინტერესო მონაკვეთს – მეფის რუსეთის მართლმსაჯულების შეფასება რევოლუციურ პერიოდსა და შემდგომი რეალობის გათვალისწინებით: „მეცხრაჯერ დასახრჩობი ვიყავი რუსების თვალში, მაგრამ მაშინ კანონი არსებობდა („მენშევიკებმა“ და „ბოლშევიკებმა“ რომ ერთიანად გააუქმეს). 1907-ში უნივერსიტეტში, პეტერბურდის უნივერსიტეტშიც კი, მიმიღეს (...) ეხლა დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია“ (გაბაშვილი, 1992, გვ. 43.)

ამ თემის საინტერესო რეფლექსიას გვთავაზობს სხვა ვალოდია გოგუაძე თავის „მოგონებანში“:

„არ არის ისტორია, რომ ფაქტებისა და მოვლენების შინაგანი ლოღიკით, მიზეზ-შედეგობით იყოს გადმოცემული, არც ლიტერატურული ნაწარმოები, არც რომანი, რაიმე ნიშნით, გეგმით, თუ ფორმით მოსათხრობი: ჩემი „რაც მახსოვს“, უტყუარი, და შეიძლება დაულაგებელი, სიტყვაა იმაზე, რაც მახსოვს მართლა და როგორც მახსოვს. მით უფრო, რომ ყველა საბუთები, წიგნები და დამამტკიცებელი მასალები ჩვენი დროის ისტორიისა, რომელიც ჯერ კიდევ სტამბულში დავიწყე, – დამედუპა, მეორე მსოფლიო ომში. ამიტომ, ხშირი უკან დაბრუნება, ანალოგიების მოყვანა, სხვადასხვა დროიდან, თუ მრავალი შენიშვნები, შეიძლება მთლიან შთაბეჭდილებას არღვევდეს, მაგრამ ჩემზე ახალგაზრდა მეხსიერების ადამიანს, თუ მოისურვებს, – ადვილად შეუძლიან მთლიანი ისტორიის ხარვეზები აქედან შეავსოს მაინც უტყუარი ფაქტებით“ (გოგუაძე, 1992, გვ. 248).

როგორც ვხედავთ, ავტორი თავისი პირუთვნელობის გათვალისწინებით მემუარულ ტექსტს განიხილავს როგორც ისტორიულ წყაროს. ხაზს უსვამს მის პუბლიცისტურ და ანალიტიკურ ხასიათს.

ჩვენი მტკიცებით, სწორედ დოკუმენტური, პუბლიცისტური და ანალიტიკური დისკურსი აქცევს მემუარისტულ პროზას მრავალი კუთხით ფასეულ და გასათვალისწინებელ მასალად ინტერდისციპლინური კვლევებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ემიგრაცია მწერლობაში ამძაფრებს სუბიექტურ დისკურსს, გადის რა მხატვრული სიუჟეტით დრამატულ პირად ცხოვრებას, ავტობიოგრაფიული, დოკუმენტური, ისტორიული რეალობა თხრობისას ადარ საჭიროებს წარმოსახულისა და გამოგონილის ჩართვას, ამიტომაც აქტუალური ხდება პუბლიცისტური, ბიოგრაფიული და ფილოსოფიური დისკურსი.

საანალიზო ტექსტები გვიმოწმებს, რომ ამ მოდელს აქტიურად ამუშავებდნენ ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, რომლებმაც დაგვიტოვეს ძალიან საინტერესო, მრავალმხრივ საკვლევი მასალა. ვფიქრობთ, კვლევები ინტერდისციპლინური ხასიათის უნდა იყოს - ლინგვოკულტუროლოგიური, ისტორიული, ლიტერატურათმცოდნეობისა და სხვა დარგების მეთოდოლოგიის მომარჯვებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- გაბაშვილი, რ. (1992). „რაც მახსოვს“, „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა“, კრებული, თბილისი: „გულანი“; ISSN63.3.(2B)დ122; ფირმა „საღარა“.
- გოგუაძე, ვ. (1992). „მოგონებანი“, „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა“, კრებული, თბილისი: „გულანი“; ISSN63.3.(2B)დ122; ფირმა „საღარა“.
- კალჭუნი, ქ., ლაითი დ., კელერი ს. (2008). სოციოლოგია (ლექციების კურსი) I ნაკვეთი. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რატიანი, ი. (2014). „სჯანი“, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა; ISSN1512-251

### References:

- Gabashvili, R. (1992). „Rats makhsovs“. „Kartuli emigrant'uli lit'erat'ura“, k'rebuli. [\"What I Remember\"; \"Georgian Emigrant Literature\". Collection]. Tbilisi: „gulani“; ISSN63.3. (2B)d122; pirma „saghara“.
- Gogvadze, V. (1992). „Mogonebani“. „Kartuli emigrant'uli lit'erat'ura“. K'rebuli. [\"Memories\"; \"Georgian Emigrant Literature\" Collection]. Tbilisi: „gulani“; ISSN63.3.(2B)d122; pirma „saghara“.
- K'alhuni, K., Laiti, D., K'eleri, S. (2008). Sotsiologia (lektsiebis k'ursi). I nak'veti. Tbilisi: Ilia Ch'avch'avadzis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.
- Rat'iani, I. (2014). „Ssjani“. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba; ISSN1512-2514;